სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

03 / ოქტომბერი / 2024 წ.

KA080120181876024

№ **2699**

განკარგულება

შპს „ერ ტე დეს“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

ტენდერის ნომერი: NAT220024810;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ერ ტე დე“ (ს/ნ: 406102550);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 21 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2024 წლის 21 აგვისტოს №MRDI-RDN2-15/12647 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №7049), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ერ ტე დეს“ (ს/ნ: 406102550) მიერ NAT220024810 ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული 2023 წლის 22 თებერვლის № 24-23 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის ertedeltd@gmail.com მეშვეობით, 2024 წლის 23 აგვისტოს № 2476 წერილით, აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

1.3. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2024 წლის 26 სექტემბერს, სააგენტოს 2024 წლის 20 სექტემბრის № 2701 წერილის პასუხად, წარმოადგინა 2024 წლის 26 სექტემბრის №MRDI-RDN2-08/14381 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის № 8041) მიმწოდებლის მიერ NAT220024810 ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული 2023 წლის 22 თებერვლის № 24-23 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელი არაჯეროვნად შეასრულა 2023 წლის 22 თებერვლის № 24-23 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2023 წლის 22 თებერვალს, NAT220024810 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შპს „ერ ტე დეს“ (ს/ნ: 406102550) შორის დაიდო №24-23 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს სამუშაოების დაწყების შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი დავალების გაცემიდან 12 თვის ვადაში უნდა შეესრულებინა დიდი დმანისი-დმანისი-გომარეთი-ბედიანის საავტომობილო გზის კმ1-კმ15 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 14 699,999,42 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2024 წლის 27 მაისი.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 16 ივლისის № MRDI-RDN2-04/10514 წერილის მიხედვით, სამუშაოები მიმდინარეობდა დაბალი ტემპით, მიმწოდებელს მობილიზებული არ ჰყავდა სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო მანქანა-დანადგარები და პერსონალი. ამავე წერილის მიხედვით, მიმწოდებელს რამდენიმე ლოკაციაზე შეეძლო დაუბრკოლებლად ეწარმოებინა სამუშაოები, კერძოდ, პროექტით გათვალისწინებულ პიკეტებზე ეწარმოებინა ხელოვნური ნაგებობების სამუშაოები, თუმცა მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო სამუშაო ძალის მობილიზებას. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა მიეღო შესაბამისი ზომები, წინაარმდეგ შემთხვევაში გააფრთხილა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4.3. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2024 წლის 17 აპრილის № 17/04-03 წერილით აცნობა, რომ ზამთრის პერიოდში ხშირი უამინდობისა და რთული კლიმატური პირობების, ასევე საავტომობილო მონაკვეთზე სასმელი წყლის, სარწყავი არხების, საკომუნიკაციო კაბელებისა და ბუნებრივი აირის მილების გადაკვეთის გამო, სადაც საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული იყო საგზაო სამუშაოების წარმოება, სამუშაოები შეფერხებით მიმდინარეობდა. ამავე წერილით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას სთხოვა გაეგრძელებინა სამუშაოების შესრულების ვადა 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

4.4. საზედამხედველო ორგანიზაციის, „Egis International“-ის, 2024 წლის 19 აპრილის წერილის მიხედვით, სამუშაოების შესრულების ვადა ამოიწურა 2024 წლის 19 აპრილს, თუმცა არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მიმწოდებელი სამუშაოებს არ ასრულებდა და შესრულებული იყო სამუშაოების მცირე ნაწილი. ამავე წერილით, საზედამხედველო ორგანიზაციამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელება და შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა მიეღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზომები.

4.5. საზედამხედველო ორგანიზაციის, „Egis International“-ის, 2024 წლის 7 ივნისის წერილის მიხედვით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით საავტომობილო გზის მიმდებარე სოფლებში, საავტომობილო გზის გასწვრივ პკ47+55-დან პკ 99+70-მდე მონაკვეთზე, საერთო სიგრძით 5 125 მ ხორციელდებოდა სასმელის წყლის მილების მოწყობის სამუშაოები და ორ მონაკვეთზე კვეთდა გზის სავალ ნაწილს. სასმელი წყლის ლითონის მილები მოთავსებული იყო გზის გვერდულის მიღმა, 1,2 მეტრის სიღრმეზე, გზის სარეაბილიტაციო მონაკვეთის ფარგლებში შესრულებული იყო წყლის გაყვანის სამუშაოების მოცულობის 80%, ხოლო დარჩენილი სამუშაოები დასრულდებოდა 2024 წლის 15 ივნისს. ამასთან, სარეაბილიტაციო მონაკვეთის საერთო სიგრძე შეადგენდა 15,42 კილომეტრს, ხოლო მიმწოდებლის მიერ შესრულებული იყო ხელშეკრულების ღირებულების 4%, მიმწოდებელს ჰქონდა შესაძლებლობა შეფერხების გარეშე ეწარმოებინა საგზაო სამუშაოები, რის გამოც საზედამხედველო ორგანიზაციამ არ გაითვალისწინა მიმწოდებლის მიერ მითითებული სარეაბილიტაციო გზის გასწვრივ მრიცხველის მონტაჟისა და წყალმომარაგების სისტემის მოწყობის გარემოება, როგორც სახელშეკრულებო ვადის გაგრძელების საფუძველი.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 20 ივნისის № MRDI-RDN2-04/8871 წერილის მიხედვით, მიმწოდებლის მითითება, რომლის მიხედვითაც ობიექტზე სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდა გამრიცხველიანება და წყლის მილების მონტაჟი, რაც იწვევდა გზის რეაბილიტაციის შეფერხებას, არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რამდენადაც აღნიშნულ ობიექტზე მიმდებარე სოფლებში 1,2 მეტრის სიღრმეზე

თავსდებოდა 5 125 მ სიგრძის მილები, რომელიც გზას კვეთდა ორ ლოკაციაზე, სამუშაოების 80% კი უკვე დასრულებული იყო. ამასთან, მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარეაბილიტაციო მონაკვეთზე თავისუფლად შეეძლო სამუშაოები ეწარმოებინა მაღალი ტემპით სხვადასხვა ლოკაციაზე და ის ფაქტი, რომ წყლის მილების მონტაჟი ქმნიდა სამუშაოების წარმოების დამაბრკოლებელ გარემოებებს სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ამავე წერილის მიხედვით, ივნისის თვეში ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო შესაძლებელი იყო სამუშაოების მაღალი ტემპით წარმოება, თუმცა სამუშაოები მიმდინარეობდა დაბალი ტემპით, მიმწოდებელს მობილიზებული არ ჰყავდა სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო მანქანა-მექანიზმები/მუშა-პერსონალი, მიმწოდებელი აჭიანურებდა ვალდებულების შესრულებას და ხელოვნურად ქმნიდა სამუშაოების დამაბრკოლებელ გარემოებებს. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა 2024 წლის ივნისის ბოლომდე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების მიზნით, მიეღო შესაბამისი ზომები, წინააღმდეგ შემთხვევაში გააფრთხილა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების შესახებ.

4.7. მიმწოდებლის 2024 წლის 18 ივლისის №18/07-05 წერილის მიხედვით, სამუშაოები მიმდინარეობდა 4-5 ლოკაციაზე, ობიექტზე მობილიზებული იყო 10 ერთეული სამშენებლო სპეც-ტექნიკა, ობიექტზე გადაყვანილი იყო ქვის სამსხვრევი დანადგარი, ხოლო 2-3 დღეში იგეგმებოდა საგზაო ტექნიკის მობილიზება, ობიექტზე აქტიურად მიმდინარეობდა ხელოვნური ნაგებობების სამუშაოები და კლდოვანი ფერდების დამუშავება მექანიზმებით, ინერტული მასალის დაახლოებით 50% შეტანილი იყო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო ინერტული მასალის დარჩენილ ნაწილს მიმწოდებელი მიაწოდებდა 2-3 დღეში. ამავე წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ ობიექტზე სრულად იყო მობილიზებული ყველა საჭირო ტექნიკა, მასალა და მუშა-პერსონალი, თუმცა სამუშაოების წარმოებისას არაერთგზის გამოვლინდა სამუშაოების პროცესში ერთიანი ინტენსიური ტემპის შენარჩუნების შემაფერხებელი გარემოებები. მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ სასმელი წყლის გაყვანის სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2024 წლის 15 ივნისს, თუმცა წყალგაყვანილობის სამუშაოები კვლავ მიმდინარეობდა, ხოლო სანამ შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მილის გადატანის სამუშაოები არ დასრულდებოდა მიმწოდებელი ვერ შეძლებდა მის პარალელურად გზის რეაბილიტაციის სამუშაოების წარმოებას. გარდა ამისა, სამუშაოების წარმოება მიმდინარეობდა ყველა შესაძლო მონაკვეთზე, თუმცა გაუთვალისწინებელი გარემოებების პირობებში, მიმწოდებელი ყოველდღიურ რეჟიმში სამუშაოებს ვერ აწარმოებდა ერთიანი ტემპში. მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ მუდმივ რეჟიმში უწევდა შეესრულებინა ის სამუშაოები რომელებიც არ იყო გათვალისწინებული პროექტით და რომელსაც არც სახელშეკრულებო ვადა ითვალისწინებდა. ამავე წერილის მიხედვით, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე უარის შემთხვევაში ობიექტის ტერიტორიიდან სამშენებლო ტექნიკის დემობილიზაციის, შემდგომი ინვენტარიზაციისა და ახალი მშენებლით ჩანაცვლების პროცედურები უფრო მეტ დროს საჭიროებდა, ვიდრე მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გრაფიკით დარჩენილი სამუშაოების შესრულება.

4.8. მხარეთა შორის 2024 წლის 19 ივლისს გაფორმებული №2 შეთანხმებით ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2024 წლის 31 ივლისი.

4.9. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 19 აგვისტოს №MRDI-RDN2-15/12534 წერილით ირკვევა, რომ სამუშაოების მიმდინარეობის ტემპი მისი დაწყების მომენტიდანვე დაბალი იყო, ამასთან, არაერთი გაფრთხილებისა და სამუშაოების დასაწყებად საჭირო ტექნიკის, მუშა-პერსონალისა და სამშენებლო მასალების მობილიზებისათვის საკმარისი დროის არსებობის მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ შეასრულა გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის მიუხედავად, 2023 წლის აგვისტოს თვეში მიმწოდებელს სამუშაოების წარმოება დაწყებულიც არ ჰქონდა. ამავე წერილის მიხედვით, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისათვის არ მიუმართავს და არ უცნობებია ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამამართლებელი გარემოება, რის გამოც მხარეთა შორის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე შეთანხმება ვერ მოხერხდა.

4.10. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა შეასრულა 598 457,77 ლარის სამუშაო, რაც ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ერ ტე დე“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა

კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2023 წლის 22 თებერვლის № 24-23 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 19 აგვისტოს № MRDI-RDN2-15/12534 წერილზე, რომლითაც ირკვევა, რომ მიმწოდებლის გაფრთხილების, ხელშეკრულების მოქმედების ვადის არაერთხელ გაგრძელებისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ შეასრულა გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოები, ვერ უზრუნველყო სამუშაოების წარმოების ტემპის გაზრდა, შესაბამისი მასალების, მანქანა-მექანიზმებისა და მუშა-პერსონალის მობილიზება. მიმწოდებლის 2024 წლის 18 ივლისის № 18/07-05 წერილში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის სამუშაოების შესრულების ხელისშემშლელ გარემოებებზე მითითების შემდგომ, 2024 წლის 19 ივლისს მხარეთა შორის გაფორმდა № 2 შეთანხმება, რომლითაც ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2024 წლის 31 ივლისი, ამდენად კი მიმწოდებელს განესაზღვრა დამატებითი ვადა, რომელზე ხელმოწერითაც თავად იკისრა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 2024 წლის 31 ივლისის ჩათვლით შესრულების ვალდებულება. სააგენტო აღნიშნავს, რომ საქმეში არ მოიპოვება მიმწოდებლის წერილი, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების შემდგომ კვლავ არსებობდა სამუშაოების შესრულების ის შემაფერხებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებული იყო მიმწოდებლის 2024 წლის 18 ივლისის № 18/07-05 წერილით. საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული გარემოება დასტურდება შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 19 აგვისტოს № MRDI-RDN2-15/12534 წერილითაც, რომლის მიხედვითაც მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისათვის არ მიუმართავს და არ უცნობებია ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამამართლებელი გარემოებებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, რის გამოც მხარეთა შორის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე შეთანხმება აღარ გაფორმებულა. ამდენად, აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და არსებობს მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „ერ ტე დეს“ (ს/ნ: 406102550) შესახებ შავი სიის რეესტრში იძებნება სამი სარეგისტრაციო ჩანაწერი.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტების გათვალისწინებით, შპს „ერ ტე დე“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ერ ტე დე“ (ს/ნ: 406102550) 2024 წლის 4 ოქტომბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზაზა ნანობაშვილი